პროექტი

საქართველოს კანონი

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 13.02.2004, მუხ. 7) კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის VIII[1] თავი:

„თავი VIII[1]

სახელმწიფო რწმუნებული

მუხლი 27[1].

1. სახელმწიფო რწმუნებული არის საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. სახელმწიფო რწმუნებული:

ა) კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტების აღსრულებას;

ბ) მთავრობის დავალებით ტერიტორიულ ერთეულებში ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების რეგიონალურ პროგრამებს;

გ) ახორციელებს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე მათთვის დელეგირებული კომპეტენციების სფეროში;

დ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლი პირველი მუხლის "ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს საქმიანობის შეჩერებისა ან დათხოვნის თაობაზე, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს,

ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;

ე) "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ " ორგანული კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე;

ვ) მთავრობის დავალების შემთხვევაში კოორდინაციას უწევს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;

ზ) საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

თ) ახორციელებს კანონმდებლობით, სახელმწიფო რწმუნებულის დებულებით, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 27[2].

1. სახელმწიფო რწმუნებული თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მეშვეობით. ადმინისტრაციის საშტატო განრიგს და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეებს "საჯარო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო რწმუნებული.

2. სახელმწიფო რწმუნებულისა და მისი ადმინისტრაციის საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილებათა ტერიტორიული საზღვრები, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სახელმწიფო რწმუნებულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 27[3].

1. სახელმწიფო რწმუნებულის სამართლებრივი აქტებია:

ა) ნორმატიული აქტი – სახელმწიფო რწმუნებულის ბრძანება. სახელმწიფო რწმუნებული ნორმატიულ აქტს გამოსცემს "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონის მე-9 და მე-10 მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში. სახელმწიფო რწმუნებულის ბრძანების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების,

მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით.

ბ) ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულება.

2. სახელმწიფო რწმუნებულის სამართლებრივ აქტს აუქმებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა.

3. სახელმწიფო რწმუნებულის სამართლებრივი აქტი დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 2. საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყონ საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულების თანამდებობებზე დანიშვნა, სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების დებულებათა დამტკიცება, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 3.

1. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2007 წლის 1 ივნისიდან.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**